iStudio დაარსდა 2024 წელს, თუმცა მანამ სხვა სახელით ანხორციელებდა ვებ დეველოპერულ მომსახურებას, ეს იყო OneStudio(Onestudio.ge) რომელმაც მრავალი ვებსაიტის შექმნით ნამდვილად დატოვა კვალი ქართული ვებ სივრცის გაზრდა/განვითარებაში.
iStudio.ge - დღეს იწყებს თავისი ისტორიის შექმნის ეტაპს, რომელიც მოიცავს მასშტაბურ პროექტებს, თუმცა ჩვენი სერვისი ნებისმიერი მომხმარებლისთვის ღიაა და ვცდილობთ უკლებრივ ყველა პროექტი დავაკმაყოფილოთ, როგორც ხარისხით, ასევე ფინანსურად.

iStudio როგორც ასეთი არ გახლავთ ოფიციალურად რეგისტრირებული (მსხხვილი) კომპანია, რომელსაც ააქვს ოფისი და ყავს ოფისში მომუშავე თიმი. თუმცა ალბათ თავისივე რესურსებით ახლო მომავალში განვითარების ეს ეტაპიც იქნება მიღწეული. მოგეხსენებათ დღეს ვებ დეველოპმენტი აქტიურია ახალბედა და პროფესიონალი ვებ დეველოპერებით, შესაბამისად დამკვეთზე კონკურენცია დიდია და შემოსავლების გადანაწილების გამო ახალბედა კომპანიებს უჭირთ ფინანსური ზრდა, მაგრამ ეს ერთგვარი გამოწვევაა, რომელიც უნდა ვაქციოთ ჩვენი და ჩვენი დამკვეთების განვითარების იარაღად. სტრატეგია მოიცავს მობაილ დეველოპმენტში ჩართვას, რისი შესწავლაც უკვე აქტიურად მიმდინარეობს და სავარაუდო დროით 2025 წლის მიწურულს ხმამაღლა შევძლებთ თქმას რომ ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ აპლიკაციები როგორც ანდროიდისთვის ასევე აისოსისთვის.

ალბათ დაინტერესდებოდით რამდენიმეჯერ ნახსენები სიტყვის ,,ჩვენ”-ს მიღმა რეალურად დგას თუარა რამდენიმე ადამიანი ვინც ჩართულია istudio-ს განვითარებასა და დამკვეთისთვის მრავალფეროვანი სერვისის შეთავაზებაში... დიახ ჩვენ - რამდენიმე ადამიანი ვართ რომელიც ანხორციელებს სერვისის უზრუნველყოფას, მე - ირაკლი სალუქვაძე ვარ, iStudio დამფუძნებელი და ჩვენს მომხმარებლებს ვემსახურები Full Stack Developer -ის პოზიციით. ჩემთან ერთად კი ფოტო/ვიდეოგრაფი, გრაფიკული დიზაინერი და სოც. მენეჯერია. როგორც ვახსენე ვინაიდან არ გვაქვს ოფისის და მყარი შემოსავლების ფუფუნება ჩვენი სტუდიიდან, დაკავებულნი ვართ სხვა ფიზიკური სამსახურებით და მაქსიმალურად ვცდილობთ iStudio-ზე დროის განაწილებას. ჩვენთან ერთად ასევე არიან სხვადასხვა ვებ სტუდიის დეველოპერები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ინაწილებენ ჩვენს პასუხისმგებლობებს, რაც გვაძლევს მოტივაციას ნებისმიერი სირთულის პროექტთან გასამკლავებლად.

ვებსაიტის შექმნის ცოდნამ ჩემში ბევრი სასარგებლო (როგორც მომხმარებელთათვის ასევე შემოსავლებისთვის) ონლაინ პროექტი დაბადა, რომლის დაწყებასაც ჭირდება მყარი ინვესტიცია და დღემდე განვაგრძობ დაინტერესებული პირების მოძიებას რომლებიც გამოიჩენენ ნდობას ჩემი და ჩემი პროექტის მიმართ.

ცოტაც ვისაუბროთ ვებსაიტებთან დაკავშირებით, როგორ ვხედავთ და როგორ ვაშენებთ... ვებ დეველოპმენტიდან ჩვენი შემოსავალი დღეს არსებული ვებსაიტების განახლებაა, რომელიც ტექნიკურ გაუმჯობესებას, ფუნქციურ გამდიდრებას და დიზაინის ნაწილს მოიცავს. ვფიქრობ პროფესიონალის მიერ შედგენილ ვებსაიტს არ უნდა ჭირდებოდეს სამომავლოდ ჩარევა ტექნიკური თვალსაზრისით, თუმცა დღეს

ვებსაიტების უმრავლესობა Wordpress -ზე და სხვა მზა CMS-ებზეა რომელიც ინტენსიური განახლების სამიზნეა, როგორც Core, ასევე თემით და ფლაგინებით. შესაბამისად არსებობის შემთხვევაში ქასთუმქოდინგის დანაკარგები ხშირია და ამას ძველი ვერსიის ფლაგინების შეუთავსებლობაც მოსდევს. სამწუხარო ფაქტია რომ ადამიანმა რომელმაც საიტი (იაფად) 200 ლარად დაამზადებინა ახალბედას, მოთხოვო სერვისში 100-200 ლარი, რომელიც შეიძლება რამდენიმე დღიან სამუშაოს მოიცავდეს. დასკვნა მარტივია, ბაზარი ჩავარდნილია ახალბედა არაპროფესიონალების მიერ, რაც აისახება სერვისის დაბალ ბიუჯეტურ ანაზღაურებაზე და ზოგადად ვებსაიტის შექმნის საფასურზე.
ვფიქრობ გამოსავალი ლიცენზიების შემუშავება და ვებ დეველოპმენტის მკაცრი კონტროლია, რომლის ხმაც დამკვეთამდე მიაღწევს და პროფესიონალის არაპროფესიონალისგან გარჩევაში დაეხმარება.
დღესდღეობით ვებ დეველოპერის შერჩევა ნამუშევრების საფუძველზე მიმდინარეობს, ლოგიკურია მაგრამ მე მინახავს ბევრი ვებ დეველოპერის სავიზიტო ვებსაიტი რომლის ნამუშევრებშიც რეალურად არ დევს მისი ნაშრომი ან 90% გაუმართავია, და კიდევ ერთი ,,ან'' იმაზე ცოტა გადაუხადეს ვიდრე პროექტის რეალური ფასი იყო და მანაც ისე იმუშავე როგორც აუნაზღაურდა.... ჩემი მოსაზრება ამასთან შორს ნამდვილად არ არის, თუმცა მაინც მაქსიმუმს ვცდილობ, რადგან ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და თუ რაიმე პროექტს ხელს ვკიდებ მინდა რომ კარგი გამოვიდეს, თავად მსიამოვნებს ეს ყველაფერი და დამკვეთების გულიც ბევრჯერ მომიგია ჩემი ინიციატივით და შესრულებით ამა თუ იმ პროექტში. არ ვიცი მარკეტინგულად რამდენად სწორია ეს ქმედება მაგრამ მაშინ თუ ამ თემას მკაცრად შეხედავ, გინდა რომ ,,ფინაჩი'' საიტები არ გქონდეს ნაკეთები და მხოლოდ სრულყოფილი ნამუშევრებისგან შემდგარი პორტფელი გქონდეს, მაშინ ან მთელი წელი უნდა ელოდო დამკვეთ კომპანიას რომელიც შრომის შესაბამისად აგინაზღაურებს ან კიდევ როგორც გადაიხდიან ისე აკეთო.

არც ვკითხულობ რა დავწერე დასაწყისიდან ამ დრომდე რადგან იმდენად გულწრფელი ვარ ბევრი შეუსაბამო თემა და მოსაზრება განვიხილე დარწმუნებული ვარ, თუმცა ,,კომპანიის'' ხმამაღლა ძახილს და ილუზიების შექმნას ვამჯობინე თქვენთვის რეალურად მეჩვენებინა ჩვენი და ზოგადად ქართული ვებ დეველოპმენტის დღევანდელი მდგომარეობა.

მადლობას გიხდით ყურადღებისთვის.